



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება N86

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

### დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისათვის, გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისთვის. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული ტენდერი (SPA 150022091) არ შედგა.

ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია მძიმე ვითარება. ელექტრონული ტენდერის ჩატარებას გარკვეული დრო სჭირდება. ზამთრის მოახლოებისა და კლიმატური პირობების მოსალოდნელი გაუარესების გამო, პროექტის განხორციელება შეუძლებელი გახდება. შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

#### გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშეთის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 29 038 (ოცდაცხრა ათას ოცდათვრამეტი) ლარზე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.